თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4749679

ნომერი: AR1713928

თარიღი : 23.10.2019

გაცემის თარიღი : 13.11.2019

გაცნობის თარიღი : 13.11.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება გლდანი , მიკრო/რაიონი 5 , კორპუსი 26 , და 26ა კორპუსების მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ცოგოშვილი პ/ნ 01021007479
- თბილისი ზღვისუბნის დას. III მ/რ IV კვ. კორ. 53 ბ. 19

ორგანიზაცია:

- შპს საოჯახო კვება კოდი: 404495051

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 08 დეკემბრის №3725032 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 23 ოქტომბრის №AR1713928 განცხადება, რომლითაც ითხოვს ტექნიკური ხარვეზის გასწორებას სამსახურის 2017 წლის 08 დეკემბრის №3725032 ბრძანებაში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 08 დეკემბრის №3725032 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, დასახლება გლდანი, მიკრო/რაიონი 5, კორპუსი 26, და 26ა კორპუსების მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.013.062), არსებული შენობის რეკონსტრუქციის (ფუნქცია - მრავალფუნქციურ კომპლექსი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 08 დეკემბრიდან 2019 წლის 08 დეკემბრის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს, სამსახურის 2017 წლის 08 დეკემბრის №3725032 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას, კერძოდ განმცხადებელი განმარტავს, რომ აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული კონსტრუქციული ნახაზები და საექსპერტო შეფასება შეუსაბამობაშია ამავე ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურული გეგმა/ნახაზებთან, ვინაიდან, კონსტრუქციული ნახაზების მიხედვით კოლონების სისქე შეადგენს 500 მმ, რაც არ არის ასახული შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებზე, შესაბამისად, ითხოვს აღნიშნულის შესწორებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად განგიმარტავთ, რომ სამსახურის 2017 წლის 08 დეკემბრის №3725032 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმა არის სამშენებლო დოკუმენტაციის ნაწილი, რომლის ცვლილებაც ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საფუძველს არ წარმოადგენს, აღნიშნული საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (კორექტირებას).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი 2017 წლის 08 დეკემბრის №3725032 ბრძანებაში.

აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის